# მანიფესტი აზიას.

საქართველოში მეფეები არ სცემდენ მანიფესტებს.

ქართულ რევოლიუციას არ ჰქონია მანიფესტის ენერგია.

ლაპარაკობს პოეზია.

პირველი ტეზისი „ცისფერი ყანწების“ — უარი აზიას.

საქართველოს ისე არ ახსენებენ თუ არა აზიასთან ერთად.

საქართველო არსებობს თავისთავათ აზიის ტრადიციები მარტო კოშმარია.

ისტორიით ასე იყო:

ქიმერია, ქალდეა, კავკაზი.

ჩვენ დავტოვეთ ყველა წინა რელიგიები და მივადექით საჭურისს ბიზანტიას.

ერი, რომლის ფეხი გამართული იყო ვეებერთელა აზიის გადარებით ვერ ეტეოდა ბიზანტიის გაცვეთილ ზომაში.

მისი ისტორია ერთი მედიდური აჯანყებაა ბიზანტიის წინააღმდეგ, რომელიც იდგა ევროპის კარების შესავალთან. მონგოლების ზღვა, რომელიც ერტყა საქართველოს სამხრეთით გადავიდა შავი ზღვის გაღმა — კარებიც სამუდამოთ იკეტება.

და აზია ეს ბებერი და გასუქებული კრეტინი დააწვა საქართველოს.

სულმოკლეთ დაეჭვათ რკალის გარღვევა აქედან წარმოსდგა სინტეზის თეორია.

აზიას არაფერი დაემუნება, მისი ნიადაგი ამოშრა.

ახალი ქვეყნის პირველი რევოლიუციის და პოეზიის მერიდიანი პარიზია, და სამხრეთით ტფილისს ეყრდნობა. რაბინდრანატ თაგორი აქამდის ცურავს განგის ბანალობის წყალში, ინდოეთის პოეზია ისე განწირულია, როგორც რევოლუცია. საქართველო არასდროს არ გაიხედავს უკან ქართულმა პოეზიამ სამუდამოთ დასტოვა მუხამბაზის გზა.

საქართველომ პირველმა მოიგონა ფოლადის გადადუღება, ფოლადის სიმტკიცით სჭედდა ის თავის ნებისყოფას.

ეს სასწაულის წინგრძნობაა.

ჩვენი და მომავალი საუკუნენი — ფოლადზე დაყრდნობაა.

აზრი ჩვენი ეპოქის — ფანტასმაგორიაა ფოლადის.

ჯავშნიანი დრედნოუტები და ცეპელინები, მორტირების და ტანკების ბეგემოტები, რადიოს ძრუანტელი და ლიფტი ზეცამდე. სიტის უთვალავი კაპიტალი, რომელმაც დასწურა ძარღვებამდე აზია — ეს მუსიკაა ინდუსტრიის და მისი სიმფონია უფრო მკაცრია, ვინემ გრიგალის მოტება პამირის ულელტეხილზე.

აქ პირველათ იმართა გილიოტინა და გასისხლიანდენ ჭანგიანი ქალაქების ბარრიკადები.

აქ არის სიმტკიცე თვითმპყრობელ ინტელექტის და ანალიზი უფრო მჭრელ-დამასკოს რკინაზე. აქ არის რიტმის გაქანება ნიაღვარის ზვიადობით.

აზია ვერ გაუძლებს ამ ცეცხლის სამსჯავროს, მხოლოდ საქართველოს ბედია იყოს სალამანდრა. რაც უნდა ტრუიზმი არ იყოს, საჭიროა გამეორება პრომეთეს ცეცხლის და რკინისა.

საქართველოში აშენდებიან ვერფები, კავკასზე უმაღლესი და ექსპრესები დასერავენ უდაბნოს, ქართული ლექსიც აღუღდება ახალი ფოლადით, ჩვენ ველით ახალ ბარრიკადებს.

მალარმე და კანტი დაარბევენ მონგოლების ჩალმებს, ახალი ვიზიონერობა გაუღრმავებს მათ ვიწრო თვალებს. — როგორც სალმანასარი გაიარს აზიაში რობესპიერი და ჩამავალ მზეზე გაბრწყინდება სხვა გილიოტინა.

საქართველო დაუბრუნდება აზიას, როგორც დამპყრობელი — ეს არის ახალი გზა კონსკვისკადორების. და მანქანის პრინცები გოგი და მაგოგი დალეწავენ მკვდარ მხარეს.

პირველი ხმა — ხმაა მებრძოლი პოეტების — აზიის უარყოფისა.

ტიციან ტაბიძე.